განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სტომატოლოგია, დოქტორანტურა

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
09.10.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი
20.11.2020

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211328703
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სტომატოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სტომატოლოგიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	დენტალური მედიცინა 0911
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	45 კრედიტი (სასწავლო კომპონენტი)
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	21.10.2011 , № 139

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ლომიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი , საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო წილოსანი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანდა ლურსმანაშვილი (სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი რადიქსი) საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ აბულაძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის „სტომატოლოგია“ დიზაინი შეესაბამება კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS) სისტემას. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია 45 კრედიტით, 35 კრედიტი მოიცავს 6 სავალდებულო დისციპლინას, ხოლო 10 კრედიტი კი გამოყოფილია არჩევითი საგნებისათვის. კვლევით კომპონენტში გათვალისწინებულია სადისერტაციო ნაშრომის შესრულება, სამეცნიერო პუბლიკაციები, რომლებიც კვლევის შედეგებს ასახავს, ასევე დისერტანტის მონაწილეობა კონფერენციებში, მასტერ-კლასებში, სხვადასხვა სამეცნიერო-პრაქტიკულ აქტივობებში, დისერტაციის დაცვა.

სააკრედიტაციო პერიოდის განმავლობაში პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, რაც განაპირობა როგორც კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზმა, ასევე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებამ.

პროგრამას დაემატა ელექტიური სასწავლო კურსები. შეიქმნა 8 დარგობრივი სასწავლო კურსი (ოდონტოლოგია, პაროდონტოლოგია და ლორწოვანი გარსის დაავადებები, ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია, ბავშვთა და მოზარდთა ყბა–სახის ქირურგია და ქირურგიული სტომატოლოგია, ქირურგიული სტომატოლოგია და იმპლანტოლოგია, ორთოპედიული სტომატოლოგია, ორთოდონტია, პირის ღრუს, თავისა და კისრის ონკოლოგია), ამ სადოქტორო სასწავლო კურსთაგან დოქტორანტისათვის სავალდებულია მის თემასთან დაკავშირებული 2 კურსი. თითოეული სადოქტორო სასწავლო კურსი მოიცავს 5 კრედიტს. გაიზარდა არადარგობრივი არჩევითი საგნების რაოდენობა. 5 ელექტიური სასწავლო კურსიდან დოქტორანტი ირჩევს საგნებს 10 კრედიტის ფარგლებში.

სტომატოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა, მოცულობა, სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის განხორციელებას, ასევე იმ შედეგების მიღებას, რომელიც უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-3 საფეხურის მოთხოვნებს შეესაბამება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 9 ოქტომბერს. ვიზიტმა ჩაიარა საქმიან და მშვიდ გარემოში, წინასწარ გაწერილი განრიგის მიხედვით. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის „სტომატოლოგია" უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

გაიმართა შეხვედრები:

• უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
• თვითშეფასების ჯგუფთან
• პროგრამის ხელმძღვანელთან
• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან
• აკადემიურ პერსონალთან
• მოწვეულ ლექტორებთან
• სტუდენტებთან
• კურსდამთავრებულებთან
• დამსაქმებლებთან

შედგა პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, ბაზები პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის).

სამუშაო დღის ბოლოს გაიმართა ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებების წინასწარი პრეზენტაცია უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტთან**

თსსუ სადოქტორო პროგრამას სტომატოლოგია მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია სტანდარტებთან. პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია პროგრამის შინაარსით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკულ ცოდნა, დარგის სპეციფიკური უნარ-ჩვევების და თანამედროვე ეთიკური ღირებულებებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის სისტემის ჩამოყალიბება.

- **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტთან**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შემუშავებულია პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. განსაზღვრულია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების ერთობლიობა, სწავლების მეთოდები რელევანტურია სწავლების მესამე საფეხურისა და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსებით განსაზღვრულია სასწავლო კურსის მიზანი და შედეგი.

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტთან**

თსსუ სტომატოლოგიის სადოქტორო პროგრამის - სტუდენტი სასწავლო პროცესის განმავლობაში უზრუნველყოფილია სათანადო კონსულტაციებით პერსონალისაგან. მათ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტთან** პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით, წარმოებს სხვადასხვა ღონისძიებები. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს სადოქტორო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. სადოქტორო პროგრამა ფინანსურად მდგრადია.

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტთან** - თსსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამის განხორციელებას. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რომელიც იყენებს შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

- **რეკომენდაციები**

არ იკვეთება

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-პროგრამაზე დაშვების წინაპირობების მეტი გამჭვირვალობისთვის დეტალურად გაიწეროს პროგრამაზე დაშვების წესი უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის, მათ შორის, ქართული ენის ცოდნის დონის განსაზღვრით, რადგან პროგრამა ქართულენოვანია.
- უცხოელი სტუდენტებისთვის გათვალისწინებული იქნას ქართული ენის სავალდებულო კურსი.

-კვლევით კომპონენტზე მუშაობა შედგება ეტაპებისგან. შემდგომ ეტაპზე გადასვლისას, დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაოს „სრულიად არასაკმარისად“ შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა, რომ განაგრძოს კომპონენტზე მუშაობა, რომ აღმოფხვრას დავალიანება. ხოლო დაწესებულების მხრიდან რეკომენდაციის მიცემის ნაცვლად - სტატუსის შეჩერების/სტატუსის შეწყვეტის შესახებ, სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ თვითონ გადაწყვიტოს, გააგრძელებს სწავლას, შეიჩერებს/შეიწყვეტს სტატუსს.
-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარების წესში უფრო გამჭვირვალე გახდეს კონკურსის პირობები.
-დაიხვეწოს სადოქტორო პროგრამაზე სასწავლო პროცესის მონიტორინგის მექანიზმები.
-გაუმჯობესდეს საფანტომო კაბინეტების ინფრასტრუქტურა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების მოთხოვნების გათვალისწინებით.
-პოტენციური დამსაქმებლების უფრო აქტიური ჩართულობა პროგრამის განვითარებაში.
-გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.
-თვითშეფასების დოკუმენტში მიეთითოს სადოქტორო ნაშრომის შეფასების რეგულაციაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება #3-ის შესაბამისი პუნქტები
- ინტერდისციპლინური სადოქტორო კვლევების მასშტაბის გაზრდა
-გაცვლით პროგრამებში დოქტორანტების მეტი აქტიურობით ჩართვა
-გაიზარდოს პროგრამაზე უცხოელი მეცნიერებისა და პედაგოგების ჩართულობა
-გაძლიერდეს უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

თსსუ-ს საკუთრებაშია პათოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორია,სადაც პროგრამის სტუდენტებს ეძლევათ საშუალება ჩაატარონ კვლევები თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენებით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  - კლინიკური კომპონენტის გაზრდა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული და კომუნიკაციის უნარების გამომუშავებას და ამ კომპეტენციების დეტალურად შეფასებას;
  - სადემონსტრაციო ლექციის და პრაქტიკული მეცადინეობის კომპონენტის დამატება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტის მომავალი აკადემიური საქმიანობისთვის აუცილებელი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გაღრმავებას.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგამის მიზნები ასახავს კურსდამთავრებულის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. ასევე, იმ წვლილს, რომელიც მან უნდა შეიტანოს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზანია კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი აკადემიური კადრის მომზადება, რომელიც დასაქმდება უნივერსიტეტში, სამეცნიერო-კვლევით და სამკურნალო/სამედიცინო დაწესებულებებში და სტომატოლოგიასა და მის „ქვე"სფეროებში ექნებათ უახლეს ინფორმაციაზე, ტექნოლოგიურ და მეთოდოლოგიურ მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც მათ არსებული ცოდნის გაფართოების, ახალი ცოდნის შექმნისა და ინოვაციური მეთოდების დამოუკიდებლად გამოყენების საშუალებას მისცემს. ასევე, კურსდამთავრებულს გამოუმუშაოს აკადემიური კეთისინდისიერების და ბიოეთიკური სტანდარტების დაცვით, კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების, ახალი ცოდნის გენერაციაზე ორიენტირებული კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების/მიდგომების გამოყენების, კრიტიკული ანალიზის და სინთეზის, პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარები. ასევე, პროგრამის მიზანია, სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული აღჭურვოს პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუს შედეგების მიმოხილვის მიხედვით, პროგრამის მიზნები მკაფიოა. რეალისტური და მიღწევადი. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივ და საერთაშორისო მოთხოვნებს, პოტენციური დამსაქმებლების რეკომენდაციებს. პროგრამის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომია ვებგვერდზე. უნივერსიტეტი ითვალისწინებს პროგრამაში ჩართული პერსონალის, სტუდენტების და კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგებს და რეკომენდაციებს, ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს. გამოკითხვა ტარდება survey monkey – ის საშუალებით. უნივერსიტეტს გააჩნია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. აქტივობებში ჩართულია აკადემიური პერსონალი. ამ პროგრამის ფარგლებში აღინიშნება უცხოელი სპეციალისტების ჩართულობა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებში.

მტკიცებულებები: • თსსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმა http://new.tsmu.edu/content/2/49/0/0/0/0 • სადოქტორო პროგრამა „სტომატოლოგია" • თსსუ-ის მიზნები • ამონაწერები სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 დეკემბერი სხდომის №24/7 ოქმიდან პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2020 წლის 27 ივნისი სხდომის №24/15 ოქმიდან განახლებული/რედაქტირებული პროგრამის დამტკიცების შესახებ • თსსუ-ის ვებგვერდი www.tsmu.edu
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნა, უნარებსა და ღირებულებებს, რომელსაც კურსადამთავრებული ფლობს პროგრამის დასრულებისას.

პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული (აკადემიური დოქტორი) დამოუკიდებლად შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას აკადემიურ დაწესებულებებში და პრაქტიკულ სტომატოლოგიაში. შეძლებს სწრაფად განვითარებად სტომატოლოგიურ მეცნიერებაში ახალი იდეების ღრმა გააზრებას და დარგში არსებული პრობლემების გადაჭრისთვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების, ასევე სხვების სწავლების პროცესის დაგეგმვას და ეფექტურად მართვას. საგანმანათლებლო, სადოქტორო პროგრამას სტომატოლოგია სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.

სწავლის შედეგები თანხვედრაშია უმაღლესი განათლების მესამე საფეხურისთვის რელევანტურ შედეგებთან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დადგენილია და მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი, რომელიც წარმოადგენს გარკვეული მექანიზმების ერთობლიობას, რითიც ხორციელდება სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენის მიზნით. განისაზღვრება სწავლის შედეგების მიღწევადობა. ყველა ამ მონაცემის და შედეგის გაანალიზების შედეგად ხდება პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება. სწორედ სტუდენტების, დამსაქმებლების გამოკითხვის ანალიზზე, გარე შეფასების მონაცემებზე დაყრდნობითა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები პროგრამაში. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს თანამედროვე მკვლევარისათვის აუცილებელ ყველა კომპეტენციას, გაწერილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების №69/ნ მიხედვით. შედეგები არის მიღწევადი, რეალისტური. სადოქტორო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფინანსური უზრუნველყოფა, ასევე, სადოქტორო პროგრამაში მონაწილე პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილებიდან გამომდინარე შეიძლება აღინიშნოს, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები მიღწევადია და შეესაბამება საბოლოოდ მისანიჭებელ კვალიფიკაციას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ნერგავს ანტიპლაგიატის პროგრამას, რომლის მიხედვით მოხდება სამეცნიერო ნაშრომის ამ კუთხით შეფასება. ვიზიტისას შემოწმდა რამდენიმე სადოქტორო ნაშრომი, რომელშიც გამოიკვეთა მათი პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან შესაბამისობა. ინტერვიუს პროცესში სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი პროგრამის სწავლის შედეგებზე იღებენ უკუკავშირს. უნივერსიტეტი სწავლის შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგია“;
- სადოქტორო პროგრამის „სტომატოლოგია“ სწავლის შედეგები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობათა რუკა;
- თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 26.02 #24/4 დადგენილება „სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი“;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართულ პირთა მონაწილეობის დოკუმენტი - თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- სადოქტორო პროგრამის „სტომატოლოგია“ კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები და მათი განსჯა;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და მათი გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში „სტომატოლოგია“ განხორციელებული ცვლილებები;
- თსსუ-ის ვებგვერდი - www.tsmu.edu

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
თსსუ-ში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „სტომატოლოგია“ დაშვების წინაპირობა განისაზღვრება პროგრამის სპეციფიკით და უზრუნველყოფს პროგრამაზე სასწავლებლად იმ კომპეტენტურ პირთა შერჩევას და ჩართვას, ვისაც სადოქტორო პროგრამის დაძლევისთვის საჭირო ცოდნა, უნარი და კომპეტენცია აქვს. პროგრამაზე დაშვების წესი განისაზღვრება თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დებულებით დოქტორანტურის შესახებ. დოქტორანტურაში /სადოქტორო კვლევის პროგრამაზე დაიშვებიან საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება თსსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ კონკრეტულ სადოქტორო კვლევის პროგრამაზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: 1. დიპლომირებული სტომატოლოგის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; 2. თსსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო კვლევის პროგრამის არსებობა; 3. ინგლისური ენის B2 დონის ცოდნა, რაც დასტურდება: B2, ან უფრო მაღალი დონის ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენით (ლეგიტიმურვადიანი), ან ინგლისურ ენაში მისაღები გამოცდის B2 დონეზე მაინც ჩაბარებით. დოქტორანტურაში მისაღები კონკურსი მოიცავს: ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას ბ) გამოცდას სპეციალობაში

გ) გამოცდას ინგლისურ ენაში (B2 დონის შესაბამისი ტესტებით). გამოცდა სპეციალობაში მოიცავს შემდეგს: ა) ტესტირება; ბ) ზეპირი გასაუბრება. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ“ დებულებით. საგამოცდო სპეციალობა განისაზღვრება სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული, მისი სასწავლო კომპონენტის შინაარსში ასახული და სადოქტორო კვლევის სფეროს შესაბამისი თემატური მიმართულებით. დოქტორანტურაში მისაღები გამოცდა სპეციალობაში ტარდება კომბინირებული (ტესტურ-ზეპირი ფორმით). აპლიკანტისთვის ცნობილია ტიპობრივი საგამოცდო ტესტები, რომელიც განთავსებულია თსსუ-ის ვებგვერდზე. გამოცდის ორივე კომპონენტი სავალდებულოა. საგამოცდო შეფასება (0-100 ქულა) დადებითია აპლიკანტის მიერ მინიმუმ 60 ქულის (შეფასების 60% მაინც) მიღების შემთხვევაში. საგამოცდო შეფასება გამოცდის კომპონენტებს შორის განაწილებულია პროპორციით 80/20: 80 - ტესტური ნაწილი, 20 - ზეპირი გასაუბრება. გამოცდის თითოეულ კომპონენტში დადებითი შეფასების მიღების ბარიერი ამ კომპონენტის მაქსიმალური შეფასების 60%-ია (ანუ 48 ქულა - ტესტური კომპონენტისთვის, 12 ქულა - ზეპირი კომპონენტისთვის, ჯამი - მინიმუმ 60 ქულა). ზეპირი გასაუბრება ტარდება საგამოცდო კომისიის წევრების მიერ. გასაუბრების თემა კორელირებს სადოქტორო კვლევის თემის შინაარსთან და მეთოდოლოგიასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია, თუმცა, პროგრამაში არ არის გაწერილი პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქის დაშვების წესი და არ არის გათვალისწინებული უცხოელი სტუდენტისთვის ქართული ენის სავალდებულო კურსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამა „სტომატოლოგია“ • დებულება „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ“ • თსსუ-ის ვებგვერდი - www.tsmu.edu • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროგრამაზე დაშვების წინაპირობების მეტი გამჭვირვალობისთვის დეტალურად გაიწეროს პროგრამაზე დაშვების წესი უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის, მათ შორის, ქართული ენის ცოდნის დონის განსაზღვრით,რადგან პროგრამა ქართულენოვანია. • უცხოელი სტუდენტებისთვის გათვალისწინებული იქნას ქართული ენის სავალდებულო კურსი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო საგანამანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგია“ შედგენილია თსსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების,განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც ეფუძნება თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მნიშვნელოვან პოზიციას PDCA-მიდგომას: Plan-Do-Check-Act (Adjust). ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება მოხდა უნივერსიტეტის ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის მიერ, რისი საფუძველიც გახდა შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი, უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები, უცხოურ და ადგილობრივ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა.ახლებურად ჩამოყალიბდა საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების სახელწოდება. ასევე შეიცვალა მათი კრედიტებიც. მაგალითად: „ბიოსტატისტიკა და მეცნიერული კვლევის საფუძვლები“ კურსი, რომელიც 4-კრედიტიანი იყო ტრანსფორმირდა კურსად „სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია და ბიოსტატისტიკა“ და საგნის მოცულობა გახდა 7 კრედიტი. კურსს „ბიოეთიკა“ გამოყოფილი ჰქონდა 3 კრედიტი, ამჯერად სასწავლო კურსს ეწოდება „ბიოსამედიცინო მეცნიერებების ეთიკა“ და დათმობილი აქვს 4 კრედიტი. კურსის სახელწოდება „უცხოური ენა“ შეიცვალა სახელწოდებით „პროფესიული ინგლისური (აკადემიური წერით)“ და საგნის მოცულობა განისაზღვრება 9 კრედიტით. ზემოაღნიშნული ცვლილებები აისახა სადოქტორო

პროგრამის ახალ კურიკულუმში. სილაბუსების ახლებურად სტრუქტურირებისას გათვალისწინებული იქნა დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები. კერძოდ, გაიზარდა საუნივერსიტეტო კურსების მოცულობა. ახლებურად ჩამოყალიბდა ზოგიერთი დისციპლინის შინაარსი, შეიცვალა სახელწოდება და კრედიტების რაოდენობა. ცვლილებების განხორციელებისას გათვალისწინებული იქნა ის ფაქტი,რომ მომავალი დოქტორისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პედაგოგიური მუშაობის თეორიული ასპექტების ცოდნის გაღრმავება, კვლევისას მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზისა და კვლევის შედეგების წარდგენის ხელოვნების უნარი. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ კურიკულუმის მოდიფიკაციის პროცესში სამუშაო ჯგუფმა გამოიყენა ისეთი უცხოური ანალოგიური პროგრამების საუკეთესო პრაქტიკა, როგორებიცაა University of Missouri - Kansas City, ასევე -Poznan University of Medical Sciences.

ახალი კურიკულუმის შემუშავებაში სტომატოლოგიის ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულები, სტუდენტები, ადმინისტრაცია, კურსდამთავრებულები და პროფესიული ორგანიზაციები. მათი ერთობლივი გადაწყვეტილებით შეირჩა ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიღწევის გზები. ამას ადასტურებს პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამა „სტომატოლოგია“ მოიცავს სასწავლო (45 კრედიტი) და კვლევით კომპონენტებს. 1 კრედიტის ეკვივალენტი 30 საათია, ეს დრო ნაწილდება საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებად სხვადასხვა სასწავლო კურსში, ამ კურსთა სპეციფიკის გათვალისწინებით დიფერენცირებულია და ასახულია სილაბუსებში. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. სწავლის შედეგები გაზომვადი და მიღწევადია.

სასწავლო კომპონენტში (45 კრედიტი) გაერთიანებულია: სადოქტორო სასწავლო კურსები I და II (5-5 კრედიტი პროფილური კურსები), რომელიც განსაზღვრულია სადოქტორო კვლევის სფეროთი და მისი შინაარსით (მიზანი, მეთოდოლოგია, მოსალოდნელი შედეგები, მათი გამოყენების სფერო და სხვა). ამ კურსების სწავლების და სწავლის მეთოდები, ასევე შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა ასახული შესაბამის სილაბუსებში.

დარგობრივ სილაბუსებში (ოდონტოლოგია; პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები; ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია; ბავშვთა და მოზარდთა ყბა–სახის ქირურგია და ქირურგიული სტომატოლოგია; ქირურგიული სტომატოლოგია და იმპლანტოლოგია; ორთოპედიული სტომატოლოგია; ორთოდონტია; პირის ღრუს, სახისა და კისრის ონკოლოგია) გაწერილი სასწავლო მასალა ეფუძნება სტომატოლოგიის მეცნიერულ სიახლეებს, ეხმიანება იმ პრობლემებს, რომლებიც სტომატოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკის, მართვისა და პერევენციის საკითხებში არსებობს. კრედიტების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსობრივი მოცულობა და მის შესასრულებლად საჭირო დრო. არაპროფილური სასწავლო კურსები (ძირითადი და არჩევითი) მოიცავს 35 კრედიტს და მათი შესწავლის მიზანი ზოგადი სამეცნიერო და აკადემიური კომპეტენციების

გამომუშავებაა. დოქტორანტს საშუალება აქვს 10 კრედიტის ფარგლებში აირჩიოს ელექტიური სასწავლო კურსები, რითაც უზრუნველყოფილია პროგრამის თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითობა.სასწავლო კურსების ჩამონათვალი შეტანილია დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში. სადოქტორო პროგრამის კვლევის კომპონენტები შეიცავს სადოქტორო კვლევის პროგრამას, შესრულების გეგმას, დისერტაციის სამეცნიერო აქტივობებს და სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას. პროგრამის კვლევითი კომპონენტი სწავლების 3 წლის განმავლობაში სრულდება.მისი შეფასების ფორმა დოქტორანტის ყოველწლიური ატესტაციაა, რაც პროფილური დეპარტამენტების წინაშე ტარდება. უსდ-ს მიერ ექსპერტთა პანელისთვის მოწოდებულ სადისერტაციო ნაშრომებში მკაფიოდ და არგუმენტირებულად იყო წარმოდგენილი კვლევის აქტუალობა და მიზნები, ხოლო ამოცანები სწორად და მკაფიოდ იყო დასახული. კვლევის თემა თანამედროვე სტომატოლოგიის აქტუალურ საკითხებს ეხებოდა, ლიტერატურის მიმოხილვა ასახავდა საკვლევ საკითხებთან დაკავშირებულ მიგნებებს. სადოქტორო ნაშრომებში ლოგიკურად იყო აღწერილი კვლევის მეთოდოლოგია, ეტაპები, ნაშრომები გაფორმებული იყო კლინიკური და/ან ექსპერიმენტული კვლევის ილუსტრირებული მასალით და ცხრილებით. წარმოჩენილი იყო სადოქტორო კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულებები. უმეტესწილად, დისერტაციები დაწერილი იყო გამართული ლიტერატურული ენით. პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია, ის განთავსებულიაუნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს დონის/აკადემიური განათლების მესამე საფეხურის აღმწერით დადგენილ სტანდარტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგია“; • საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი; • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „სტომატოლოგია“ სილაბუსები; • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „სტომატოლოგია“, დოქტორანტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები; • სადოქტორო პროგრამის „სტომატოლოგია“ კურიკულუმის რუკა; • თსსუ-ის ვებგვერდი - www.tsmu.edu • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • განახლებულ კურიკულუმში დაინერგა 8 დარგობრივი სადოქტორო სასწავლო კურსი • გაფართოვდა არადარგობრივი ელექტიური საგნების არჩევანი
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსსუ-ს სადოქტორო პროგრამა „სტომატოლოგია“ დარგობრივი ცოდნის მიწოდების უზრუნველსაყოფად მოიცავს პროფილურ დისციპლინათა სასწავლო კურსებს. სასწავლო პროგრამა დაფუძნებულია იმ მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლაზე, რაც აუცილებელია თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით სტომატოლოგიის სხვადასხვა სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სავალდებულო კურსების ჩამონათვალი მოიცავს: ძირითადი სპეციალობის 2 სადოქტორო სასწავლო კურსს (5-5 ECTS კრედიტი), „სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია და ბიოსტატისტიკა“ (7 ECTS კრედიტი), „უმაღლესი განათლების პედაგოგიკა და ფსიქოლოგია “(5 ECTS კრედიტი), „ბიოსამედიცინო მეცნიერებების ეთიკა“ (4 ECTS

კრედიტი), პროფესიული ინგლისური (აკადემიური წერით) დაშვების წინაპირობა B2 დონე – (9 ECTS კრედიტი). დოქტორანტს 5 არჩევითი კურსი აქვს შეთავაზებული. მათგან-ერთი დარგობრივ სასწავლო კურსებთან რელევანტური და 4 საუნივერსიტეტო.

ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება ხორციელდება ლექციებით, სემინარული მეცადინეობით, ლაბორატორიული საქმიანობით, პაციენტების დიაგნოსტიკით და მკურნალობით. დოქტორანტის დამოუკიდებელი მუშაობისთვის შეთავაზებული ფორმებია: საინტერესო ქეისების აღწერა და განხილვა, სასწავლო-კვლევითი რეფერატული ნაშრომების შესრულება. სასწავლო კურსი სრულდება საჩვენებელი ლექციით, პაციენტის საჩვენებელი კონსულტაციით და მკურნალობით, გამოცდის ჩაბარებით. ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ამ კურსის სწავლის შედეგების რელევანტურია.

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ნათლად არის ჩამოყალიბებული იმ კომპეტენციათა ჩამონათვალი, რომელსაც სტუდენტი შეიძენს კურსის გავლის შემდეგ - განსაზღვრულია დოქტორანტთა ცოდნის შესაბამისი კომპონენტები (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა), რომლებიც დეტალურად არის გაწერილი კონკრეტული კურსის შინაარსიდან და მიზნებისდან გამომდინარე, ეს შედეგები სრულად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სტუდენტის სამუშაო დატვირთვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილი საათები ასახულია კრედიტების სისტემაში. ასევე, სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია სავალდებულო და დამხმარე სასწავლო ლიტერატურა.

როგორც გაირკვა ინტერვიუებიდან, საანგარიშო პერიოდში აქტიურად ხდებოდა სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგი, შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება სასწავლო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. მოდიფიცირებულ კურიკულუმში დაიხვეწა და გაუმჯობესდა შეფასების მექანიზმები და ინსტრუმენტები. გამოკითხვები ტარდებოდა ელექტრონულად (SurveyMonkey) პროგრამით, მიღებული ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით.

პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე, თვითშეფასების ჯგუფის წევრებთან ინტერვიუების დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამის სრულყოფასა და მის განვითარებას, ეს კი, აისახება პროგრამის სწავლის შედეგებზე.

საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსების შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სრულადაა ჩართული სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების კრიტერიუმების და ინდიკატორების შემუშავებასა და განხორციელებაში. ამას ადასტურებს ინტერვიუს შედეგები თსსუ-ის და უშუალოდ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან. მათ მიერ ჩატარებული დოქტორანთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის შედეგები გამოყენებულ იქნა ადრინდელი სადოქტორო პროგრამის დახვეწისა და მოდიფიცირებისთვის. სილაბუსების ახლებურად სტრუქტურირებისას გათვალისწინებული იქნა დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შეგეგები. როგორც გაირკვა აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებიდან, კურსდამთავრებულთა ძირითადი რეკომენდაცია პროგრამაში ცვლილებების თაობაზე ეხებოდა სასწავლო კურსებში კომუნიკაციისა უნარებისა და პრაქტიკული კომპონენტის გაზრდას, შესაბამისად, ახალ კურიკულუმში გაიზარდა საუნივერსიტეტო კურსების მოცულობა. ახლებურად სტრუქტურირდა ზოგიერთი დისციპლინის შინაარსი, შეიცვალა სახელწოდება და კრედიტების რაოდენობა. ამასვე ადასტურებს ინტერვიუს შედეგები კურსდამთავრებულებთან.

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ცვლილებების განხორციელებისას გათვალისწინებული იქნა ის ფაქტი, რომ მომავალი დოქტორისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პედაგოგიური მუშაობის თეორიული

ასპექტების ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გაღრმავება. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია პროგრამის დარგობრივი კურსების ფარგლებში სადემონსტრაციო ლექციის და სადემონსტრაციო პრაქტიკული მეცადინეობის კომპონენტის დანერგვა, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია მომავალი აკადემიური პერსონალიის პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებისთვის.

პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა განსაზღვრავს პროგრამის შედეგებს და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს დონის/აკადემიური განათლების მესამე საფეხურის აღმწერით დადგენილ სტანდარტს.

სადოქტორო პროგრამის კვლევის კომპონენტები შეიცავს სადოქტორო კვლევის პროგრამას, მისი შესრულების გეგმას, დისერტაციის სამეცნიერო აქტივობებს და სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას. კვლევის პროგრამა ინდივიდუალურია, მას მხოლოდ ერთი დოქტორანტი ასრულებს, რომელიც კვლევის ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობს.

სადოქტორო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის თანამედროვე სტანდარტებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

○

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა „სტომატოლოგია“
- პროგრამის „სტომატოლოგია“ სილაბუსები
- სადოქტორო პროგრამის „სტომატოლოგია“ კურიკულუმის რუკა.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- კლინიკური კომპონენტის გაზრდა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული და კომუნიკაციის უნარების გამომუშავებას და ამ კომპეტენციების დეტალურად შეფასებას
- სადემონსტრაციო ლექციის და პრაქტიკული მეცადინეობის კომპონენტის დამატება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტის მომავალი აკადემიური საქმიანობისთვის აუცილებელი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გაღრმავებას.

შეფასება

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსუ სადოქტორო პროგრამაში „სტომატოლოგია“ ცვლილებების განხორციელებისას გათვალისწინებული იქნა ის ფაქტი, რომ მომავალი დოქტორისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევისას მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზისა და კვლევის შედეგების წარდგენის ხელოვნების უნარი. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს პროცესში აქცენტი გააკეთდა კვლევითი კომპონენტის მნიშვნელობაზე და აღინიშნა, რომ სადოქტორო პროგრამის განხორციელების პროცესში დოქტორანტს გამოყოფილი აქვს საკონსულტაციო საათები. ამ პერიოდში მათთან ინდივიდუალური მუშაობა მიმდინარეობს. განიხილება კვლევის თემატიკასთან დაკავშირებული და დოქტორანტისათვის საინტერესო სამეცნიერო ლიტერატურა. ამავე პერიოდში ხდება კვლევის ობიექტების, მასალების და მეთოდების განხილვა და შერჩევა. საკონსულტაციო საათებშივე წარმოებს დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დაგროვილი საჭირბოროტო საკითხების განხილვა. კვლევის მიღებულ შედეგთა ფრაგმენტის ანალიზი. იგეგმება კონგრესებში სიმპოზიუმებში, კონფერენციებში დოქტორანტის მონაწილეობა, ასევე მის მიერ ჩასატარებელი ლექციის და სადემონსტრაციო პრაქტიკუმის თემატიკის შერჩევა და დაგეგმვა. მიზანშეწონილია ინტერდისციპლინური სადოქტორო კვლევების მასშტაბის გაზრდა,რაც დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტშიც აღნიშნულია გასაუმჯობესელ მხარეებში

პროგრამის განხორციელების პერიოდში დოქტორანტების თანაავტორობით გამოქვეყნებულია 17 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 11 ქართულ რეფერირებად ჟურნალებში და 6 საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. დოქტორანტებმა მონაწილეობა მიიღეს 30 ადგილობრივ და 12 საერთაშორისო კონფერენციაში. ამასვე ადასტურებს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

თსსუ ახორციელებს გაცვლით პროგრამებს როგორც სტუდენტებისთვის ასევე აკადემიური პერსონალისთვის. უსდ-ს წარმოდგენილი აქვს მემორანდუმების ჩამონათვალი 17 უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტთან.

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ფაკულტეტის დაფინანსებით ლექტორების საერთაშორისო ტრენინგებზე დასწრება და ხელშეწყობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • მონაცემები სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო - კვლევით პროექტებში • სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ინტერდისციპლინური სადოქტორო კვლევების მასშტაბის გაზრდა • გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამის „სტომატოლოგია“ სწავლება დაფუძნებულია სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების მეთოდებზე, რაც, გარდა საკუთრივ კვლევითი მუშაობისა,

გულისხმობს დოქტორანტის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, მოიცავს პრაქტიკულ საქმიანობას, ჯგუფურ მუშაობას, სიტუაციურ ანალიზს, კონკრეტული შემთხვევების გარჩევას (Case-study), კლინიკურ აქტივობას დაავადებათა მართვის პროცესში ახალი ტექნოლოგიების დასანერგად. თეზისის მომზადება/პრეზენტაციას, დისკუსიებს, ემპირიულ სწავლებას, ადვოკაციას, სემინარებსა და პროექტებს. დოქტორანტი არის სამეცნიერო კომპონენტის უშუალო შემსრულებელი.

სადოქტორო პროგრამა აგებულია სასწავლო კურსებისაგან/მოდულებისაგან. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა, შინაარსი, მოცულობა და სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის და იმ შედეგების მიღწევას, რაც უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს მერვე დონის/აკადემიური განათლების მესამე საფეხურის შედეგებს შეესაბამება.

სასწავლო კურსები/მოდულები სტრუქტურირებულია უმაღლესი განათლების შესახებ კანონის და მისი ქვემდებარე სხვა ნორმატივების ფარგლებში. სწავლების მეთოდები შეესაბამება დოქტორანტის მომზადების თანამედროვე მეთოდოლოგიურ, მათ შორის - სპეციფიკურ მოთხოვნებს. პროგრამა აგებულია კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS)შესაბამისად.

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურაში მოყვანილია სასწავლო კომპონენტის ელემენტების შინაარსობრივი და რაოდენობრივი განაწილება. პროფილური სასწავლო კურსები განისაზღვრება სადოქტორო კვლევის შინაარსით , დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოიცავს პროფილური და არაპროფილურ სასწავლო კურსებს.დოქტორანტი სადოქტორო კვლევის ხელმძღვანელთან ერთად ირჩევს 2 დარგობრივ კურსს კვლევის და ინტერდისციპლინური პრობლემის მიხედვით.ინდივიდ უალურ სადოქტორო კვლევის პროგრამა წარმოდგენილია სასწავლო და კვლევითი კომპონენეტების ერთობლიობით. პროგრამის კვლევით კომპონენტს დოქტორანტი ასრულებს პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო მეთვალყურეობით მინიმუმ სამი წლის განმავლობაში. დოქტორანტი მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში, სადაც წარმოადგენს მის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს, აქვეყნებს პუბლიკაციებს. კვლევითი კომპონენტი მოიცავს სამეცნიერო ნაშრომის (დისერტაციის) შესრულებას და სრულდება დისერტაციის დაცვით.

კვლევითი კომპონენტის კრედიტების განაწილებას და დატვირთვას განსაზღვრავს სამეცნიერო ხელმძღვანელი, რაც დეტალურად აისახება სადოქტორო კვლევის გეგმასა და მის თანმხლებ სილაბუსებში.

დოქტორანტთა დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯულ დროს და შრომას (სამუშაო დრო), რომელიც ხმარდება ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობა-დამუშავებას, კვლევის სფეროში ახალი სამეცნიერო ნაშრომების მოძიებას, გაცნობას, დამუშავებას, კვლევის სფეროში ცოდნის გაღრმავებას.

კურიკულუმში გაწერილი აკადემიური აქტივობის მეთოდები ცალ-ცალკე და მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა „სტომატოლოგია“
- სადოქტორო პროგრამის „სტომატოლოგია“ სილაბუსები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსსუ-ს სადოქტორო პროგრამის „სტომატოლოგია“ დოქტორანტების მიღწევების შეფასება ხორციელდება შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიხედვით. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გაანგარიშება და დოქტორანტების მიღწევების შეფასება არის გამჭირვალე და განხორციელდება თსსუ-ში მოქმედი კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების #3, 5.01.2007 თანახმად. სტომატოლოგიის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის კრედიტების გაანგარიშება და დოქტორანტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. სასწავლო კომპონენტის შემადგენელი თითოეული სასწავლო კურსის შესწავლისას დოქტორანტის მიერ გაწეული შრომის შემაჯამებელი შეფასება ითვალისწინებს ორ შემადგენელ ელემენტს - შუალედურ და საბოლოო გამოცდის შეფასებებს. თითოეულ ელემენტს აქვს თავისი პროცენტული წილი შეფასების საერთო სისტემაში: შუალედური შეფასების ელემენტი დაყოფილია კომპონენტებად(აკადემიური აქტივობა, პრაქტიკული უნარები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, შუალედური გამოცდები და სხვ.),

რომლებსაც აქვთ თავისი პროცენტული წილი ამ ელემენტის ფარგლებში; კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება. კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი. შუალედურ შეფასებებში დოქტორანტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა. საბოლოო გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა. საბოლოო გამოცდაზე დოქტორანტმა უნდა მიიღოს არანაკლებ 24 ქულისა; საბოლოო გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და საბოლოო გამოცდის მაქსიმალური (40) ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. შემაჯამებელი შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასების და საბოლოო გამოცდის შეფასების ჯამს; შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ცნობილია დოქტორანტებისთვის სწავლის დაწყებისთანავე.

კვლევითი კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები შემდეგია:

➢ შესრულებული სასწავლო კომპონენტის/კრედიტების შესაბამისობა დოქტორანტის ინდივიდურ გეგმასთან:

• გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსები

• წარმატებით ათვისებული სასწავლო კურსები.

აღნიშნული აქტივობა ფასდება 0-2 ქულით (0 – 1 – 2).

➢ შესრულებული კვლევითი აქტივობის შესაბამისობა დოქტორანტის გეგმასთან:

• დაგეგმილი კვლევითი აქტივობა

• ჩატარებული კვლევები/დაკვირვებები

• სამეცნიერო პუბლიკაციის/-ების მომზადება.

აღნიშნული აქტივობა ფასდება 0-3 ქულით (0 – 1 – 2 - 3).

➢ ინდივიდური სადოქტორო კვლევის გეგმის/თემის ხელმძღვანელის შეფასება დოქტორანტის მუშაობის შესახებ; კრიტერიუმი - დოქტორანტის აკადემიური დისციპლინა და მოტივირებულობის ხარისხი. აღნიშნული მახასიათებლები მნიშვნელოვანწილად სუბიექტურია, ძნელად გაზომვადი და, ამიტომაც, მათი ქულობრივი ექვივალენტი მცირეა. აღნიშნული ფასდება 0-1ქულით (0 – 0.5 - 1).

საბაზო დეპარტამენტების სხდომაზე დოქტორანტის მუშაობის ანგარიშის განხილვის შესაბამისად დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო შეიძლება შეფასდეს, როგორც „საკმარისი“, “არასაკმარისი“, “სრულიად არასაკმარისი“ შემდეგი სქემით (0-6 ქულით): „საკმარისი“ = 4,5 - 6,0; “არასაკმარისი“ = 3 – 4 ; “სრულიად არასაკმარისი“ = 0 - 2,5.

დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაოს „საკმარისად“ შეფასების შემთხვევაში მას ეძლევა რეკომენდაცია მუშაობის გაგრძელებისათვის მისი გეგმა-ბარათის შესაბამისად.

დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაოს „არასაკმარისად“ შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა რეკომენდაცია: გეგმა-ბარათში და/ან ინდივიდური სადოქტორო კვლევის გეგმაში ცვლილებების შესახებ, ან სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ, თუ სტატუსის აღდგენის შემდგომ დოქტორანტურის დასრულებამდე დარჩენილ პერიოდში შესაძლებელია ინდივიდური სადოქტორო კვლევის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება.

დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაოს „სრულიად არასაკმარისად“ შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტის მუშაობის შემაფერხებელ გარემოებათა კომპლექსური ანალიზის,ასევე, დოქტორანტისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის განმარტებების გათვალისწინებით გაიცემა რეკომენდაცია დოქტორანტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების/სტატუსის შეწყვეტის შესახებ. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებში (ასეთის არსებობის

პირობებში) ასახული მასალა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ინდივიდური სადოქტორო კვლევის ნაწილად. იმ შემთხვევაში, თუ სტატუსშეწყვეტილი დოქტორანტის/სტუდენტის ინდივიდური სადოქტორო კვლევის გეგმის მიხედვით საკუთრივ კვლევა არ დაწყებულა და ეს წერილობით დასტურდება თავად ყოფილი დოქტორანტის, მისი სამეცნიერო ხელმძღვანელისა და საბაზო დეპარტამენტის მიერ, ინდივიდური სადოქტორო კვლევის შესრულებაზე საკონკურსო მიღება ცხადდება ხელახლა.დოქტორანტის ყოველწლიური ატესტაციის შედეგები აისახება საბაზო დეპარტამენტის/-ების სხდომების ოქმებში.

თსსუ სადოქტორო პროგრამის სტომატოლოგია კვლევითი კომპონენტის შეფასება ხორციელდება ერთჯერადად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანების შესაბამისად. თუმცა, თუ დაწესებულების გადაწყვეტილებით კვლევითი კომპონენტზე მუშაობის პროცესში, თვითოეულ კომპონენტთან მიმართებით, ხდება სტუდენტის პირობითი შეფასება, მიზანშეწონილია, განსაზღვროს თვითოეული ეტაპისათვის დაშვების წინაპირობები. დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაოს „სრულიად არასაკმარისად“ შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტისათვის რეკომენდაციის მიცემის ნაცვლად სტატუსის შეჩერების/სტატუსის შეწყვეტის შესახებ, სტუდენტს მიეცეს არჩევანის საშუალება,თავად განახორციელოს ის აქტივობები,რითიც შეძლებს დაძლიოს პროგრამა და გააუმჯობესოს სწავლის შედეგი. სწავლების უფლების შეჩერებით,სტატუსის აღდგენისათვის, ბუნებრივია იგი ვერ აღმოფხვრის ნაკისრ ვალდებულებებს.შესაბამისად, ბუნდოვანია, რა პირობებში შესაძლებელია მოხდეს სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენა. სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიუღწევლობის შემთხვევაში,მიმდინარე კანონმდებლობით შესაძლებელია შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი.თუმცა ამ შემთხვევაშიც, რეკომენდირებულია, რომ სტუდენტის სწავლის პროცესის მხარდაჭერისა და ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულება სტუდენტს აძლევდეს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებით შესაძლებლობას გარკვეულ პირობებში, ხოლო შემდგომ განიხილებოდეს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხი.

სადოქტორო კვლევაზე მუშაობა სრულდება დისერტაციის დაცვით. ნაშრომის სადისერტაციო საბჭოზე წარდგენის წინაპირობაა სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესრულება და სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვა (აპრობაცია) იმ დეპარტამენტში, სადაც შესრულდა სადოქტორო კვლევა.

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტის დასკვნაში უნდა შეფასდეს ჩატარებული კვლევის სამეცნიერო აქტუალობა, სიახლე, ორიგინალობა, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის დიზაინის და მეთოდოლოგიის ადეკვატურობა, კვლევის პირველადი მასალის ობიექტურობა და სარწმუნოობა, დისერტაციის სტრუქტურა, გაფორმების ხარისხი და ენობრივი გამართულობა. რეცენზენტის ან/და აპრობაციაზე გამოთქმული შენიშვნები სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებით გაზიარების შემთხვევაში დისერტანტის მიერ უნდა გასწორდეს ხელმძღვანელის მეთვალყურეობით სადისერტაციო საბჭოში მის გადაცემამდე.

სადისერტაციო საბჭოს მიერ ნაშრომის და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მიღებიდან 10 დღის ვადაში იქმნება საექსპერტო კომისია. საექსპერტო დასკვნა სადისერტაციო საბჭოს გადაეცემა არაუგვიანეს ერთი თვისა.

დისერტაციის წარდგენა და დაცვა ხდება სახელმწიფო ენაზე.

სადისერტაციო საბჭო დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით. კენჭისყრის გასამართად აუცილებელია კვორუმის არსებობა. ხარისხის მინიჭებისათვის საჭიროა საბჭოს წევრთა მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასება საშუალოდ სულ ცოტა 51 ქულით. სადისერტაციო საბჭოს მიერ დისერტაციის შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება #3-ის მ.4, პ.14,15,16,17,18 -ის

შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომი დადგენილი კრიტერიუმებით შეფასდება სადისერტაციო საბჭოს თითოეული წევრის მიერ ცალცალკე. აქვე აღსანიშნავია,რომ თვითშეფასების დოკუმენტში ეს პუნქტები არასწორადაა მითითებული. ნაშრომის საბოლოო შეფასება დგინდება ცალკეულ შეფასებათა საშუალო არითმეტიკულით. საბოლოო შეფასებად „არადამაკმაყოფილებელის“ (42-51 ქულა) მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება ერთი წლის განმავლობაში. „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ შეფასების (≤41 ქულა) მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

აღსანიშნავია, რომ სადოქტორო პროგრამის როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსების სილაბუსებში დეტალურადაა ჩაშლილი და გაწერილი შეფასების ცალკეული მეთოდის კრიტერიუმები, რაც მეტად ვალიდურს და გამჭვირვალეს ხდის შეფასების სისტემას. შეფასების აღნიშნულმა მეთოდებმა, წესით, სრულად უნდა უზრუნველყოს სწავლის შედეგების გაზომვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დებულება „თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ (დამტკ. აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 27.06-ის #24/15 დადგენილებით)“.
- დებულება „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“.
- სადოქტორო ნაშრომების შეფასებისა და დაცვის მარეგულირებელი წესი.
- „სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი“.
- სადოქტორო პროგრამა „სტომატოლოგია“.
- პროგრამის სილაბუსები.
- თსსუ-ის ვებგვერდი - www.tsmu.edu
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- თვითშეფასების დოკუმენტში სადოქტორო ნაშრომის შეფასების რეგულაციაში მიუთითეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება #3-ის შესაბამისი პუნქტები.
- კვლევით კომპონენტზე მუშაობა შედგება ეტაპებისგან. შემდგომ ეტაპზე გადასვლისას, დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაოს „სრულიად არასაკმარისად“ შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა, რომ განაგრძოს კომპონენტზე მუშაობა, რომ აღმოფხვრას დავალიანება. ხოლო დაწესებულების მხრიდან რეკომენდაციის მიცემის ნაცვლად - სტატუსის შეჩერების/სტატუსის შეწყვეტის შესახებ, სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ თვითონ გადაწყვიტოს, გააგრძელებს სწავლას, შეიჩერებს/შეიწყვეტს სტატუსს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში ჩარიცხვისა და სწავლის, ასევე სასწავლო გარემოს შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამის სტუდენტები თითოეული კურსის შესახებ იღებენ უწყვეტ მხარდაჭერასა და კონსულტაციას პროგრამის ხელმძღვანელის, მონაწილე აკადემიური პერსონალის, ფაკულტეტის ადმინისტრაციის და საინფორმაციო სამსახურების მხრიდან. სტუდენტს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სხვადასხვა კულტურული, სპორტული თუ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის, კარიერული განვითარების შესახებ. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების თაობაზე სტუდენტს სასარგებლო კონსულტაციას უტარებს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური. თითოეული კურსის დაწყებამდე, სტუდენტს აქვს საშუალება წინასწარ შეხვდეს და გაესაუბროს პედაგოგს. აკადემიური პერსონალი სტუდენტთა საკონსულტაციოდ გამოყოფს კვირაში, მინიმუმ, 2 საათს. საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია დეკანატში თვალსაჩინო ადგილას და ასევე ინფორმაცია მიეწოდებათ სწავლის დაწყებისას ადმინისტრაციის მხრიდან. სტუდენტებისათვის დგება ინდივიდუალური გრაფიკი, რომლის საშუალებითაც სტუდენტს კლინიკური პრაქტიკისა და სწავლის შეთავსების შესაძლებლობა ეძლევა. სტუდენტების ინფორმირებას უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული დაწესებულების პერსონალი. სტუდენტებს ეძლევათ საშუალება მიიღონ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა მათი სურვილისამებრ.სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელია : 17 სამეცნიერო ნაშრომი - 17 და 42 კონფერენცია. წელიწადში ერთხელ ხარისხის სამსახური ატარებს სტუდენტების გამოკითხვას, რომლის შედეგადაც ფასდება მათი კმაყოფილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ლექტორების მიმართ. ადმინისტრაცია ყურად იღებს სტუდენტების რეკომენდაციებს, რისი მაგალითიცაა ახალ პროგრამაში პრაქტიკული სასწავლო ნაწილის მოცულობის გაზრდა და არჩევითი საგნების გამრავალფეროვნება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თაოსნობით ყოველწლიურად იმართება დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენციები, სადაც დოქტორანტები წარმოადგენენ ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ. მაგალითად, 2015 წელს დოქტორანტების სამეცნიერო სესიაზე მონაწილეობა მიიღო სტომატოლოგიის ფაკულტეტის 1 დოქტორანტმა. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური ახორციელებს კოორდინაციას უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ რამოდენიმე საერთაშორისო ახალგაზრდული (სტუდენტური) ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობასთან (EMSA, EDSA, EPSA, IFMSA), ასევე, უნივერსიტეტის ბაზაზე მოქმედებს „სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება“, „ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაცია“ და „საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაცია“. დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, ასევე

ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით (მაგ. ERASMUS +, ERASMUS MUNDUS). აღნიშნული, ძირითადად, ხორციელდება საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის რესურსის გამოყენებით. ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების თაობაზე განთავსდება თსსუ-ის ვებგვერდზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს 140 პარტნიორი უნივერსიტეტი ჰყავს მსოფლიოს მასშტაბით, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში უნივერსიტეტს 500 უცხოელი პროფესორ-მასწავლებელი ეწვია. ამ გზით, იმ უნივერსიტეტი ზრუნავს იმ სტუდენტებზეც, ვისაც არ აქვს საშუალება მონაწილეობა მიიღოს გაცვლით პროგრამებში და აძლევს საშუალებას, ადგილზე მოისმინოს უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების ლექციები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ხორციელდება ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისების პროგრამა, რომლის მიხედვითაც 35 წლამდე ასაკის პირებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით და თსსუ-ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის დადგენილ საერთო პირობებს და დოქტორანტურაში ჩარიცხვის დროისათვის წარმოადგენენ ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დონის მოქმედ სერტიფიკატს. ჩარიცხული დოქტორანტები უზრუნველყოფილი იქნებიან: სტიპენდიით წელიწადში 24 ათასი ლარის ოდენობით, საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის (3 წელი) განმავლობაში. კვლევის და სწავლის დაფინანსებით - 10 000 ლარის ოდენობით. ამ თანხიდან 2250 ლარი გათვალისწინებულია სასწავლო კომპონენტის საფასურის დასაფარად. სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში აღმოჩნდა, რომ სტუდენტები არ არიან სრულად ინფორმირებული (იმ სტუდენტის ჩათვლით, რომელიც უკვე სწავლობს აღნიშნულ პროგრამაზე), თუ რა ეტაპების გავლაა საჭირო აღნიშნულ პროგრამაში მოსახვედრად. ასევე, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარების წესი“-ში არ არის განმარტებული, როგორ ხდება კონკურსის წესით კანდიდატთა არჩევა. თუ გავითვალისწინებთ ფაქტს, რომ ამ წესით რეგულირებული დოქტორანტთა კონტიგენტის რაოდენობა არის შეზღუდული, - თითოეული დეპარტამენტიდან უნდა მომზადდეს არაუმეტეს 2 დოქტორანტისა, გარდა შინაგანი სნეულებების, პედიატრიის, ქირურგიის და ნევროლოგიის დეპარტამენტებისა, სასურველია კონკურსის პირობების მეტი გამჭვირვალობა.

სადოქტორო პროგრამის „სტომატოლოგია“ კუსდამთავრებულთა 100% დასაქმებულია. დამსაქმებელთა ინტერვიუს პროცესში აშკარა გახდა, რომ მრავალწლიანი გამოცდილების შედეგად, დამსაქმებლები პრიოტიტეტს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებს ანიჭებენ სხვა უნივერსიტეტების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებთან შედარებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები;
- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება
- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანაწესი
- „თსსუ-ის რექტორის აპარატის დებულება“
- „სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“
- „სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესი“ „სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა

კვალიფიკაციის მინიჭების, დიპლომის ფორმების გამოყენების, გაცემისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარების წესში უფრო გამჭვირვალე გახდეს კონკურსის პირობები. • გაცვლით პროგრამებში დოქტორანტების მეტი აქტიურობით ჩართვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია დარგის გამორჩეული, მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი. პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ემერიტუსი, თსსუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი. თანახელმძღვანელი შესაძლებელია იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის თსსუ-ს აკადემიური პერსონალი. სადოქტორო კვლევის პროგრამის ხელმძღვანელს თითოეული აკადემიური წლისათვის

შეიძლება ჰყავდეს, როგორც წესი, არაუმეტერს სამი დოქტორანტისა.
უნივერსიტეტი დოქტორანტებს :

-ეხმარება ხელმძღვანელის შერჩევასა და კვლევის ორგანიზებაში;

-სთავაზობს კვლევის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის საჭირო მეთოდოლოგიურ და თეორიულ ცოდნას;

-უქმნის სათანადო გარემოს სამუშაოს ეფექტური შესრულებისათვის, კერძოდ, დოქტორანტს აქვს სამუშაო სივრცე, წვდომა ლაბორატორიებსა და კვლევით ცენტრებზე, ისევე როგორც კომპიუტერულ ტექნიკაზე, ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებზე;

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა უზრუნველყოს დოქტორანტის მიერ დისერტაციის სათანადო დონეზე შესრულება და დადგენილ ვადაში დაცვა, რაც მოიცავს დოქტორანტის მიერ განხორციელებულ კვლებაში ჩართულობასა და სათანადო კონსულტაციებს სწავლის ყველა ეტაპზე. ასევე, იგი პასუხისმგებელია სადოქტორო ნაშრომის ხარისხზე, რაც გულისხმობს: ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას, კვლევის დიზაინის და მეთოდოლოგიის ადეკვატურობას, კვლევის პირველადი მასალის ობიექტურობასა და სარწმუნოობას, ნაშრომის სტრუქტურას, გაფორმების ხარისხს და ენობრივ გამართულობას, ნაშრომის ძირითადი შედეგების ორიგინალობას. სადოქტორო კვლევის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ხელმძღვანელისათვის სააუდიტორიო/საკონტაქტო საათების ზღვრულ დატვირთვას არაუმეტეს 30 საათისა სემესტრში, ორი და მეტი სადოქტორო კვლევის ხელმძღვანელობის შემთხვევაში - არაუმეტეს 50 საათისა სემესტრში.სადოქტორო პროგრამა „სტომატოლოგია“ ორიენტირებულია დოქტორანტებში იმ აუცილებელი უნარ–ჩვევების გამომუშავებაზე, რომელიც მნიშვნელოვანია თანამედროვე შრომის ბაზარზე წარმატებული კარიერისათვის. დოქტორანტებს საშუალება აქვთ ერთმანეთს გაუზიარონ სამომავლო სამეცნიერო ინტერესები და ჩაერთონ მათთვის ახალ და მომიჯნავე დარგების კვლევებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო კვლევის ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობები.

თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 3 ოქტომბრის #23/10 დადგენილების

- „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვა“.

• სადოქტორო პროგრამის „სტომატოლოგია“ განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები.
დებულება თსსუ-ის დოქტორანტურის შესახებ.
• სადოქტორო თემატიკის და ხელმძღვანელების დამტკიცების დამადასტურებელი ფაკულტეტის საბჭოს ოქმეები.
• ბრძანებები სადოქტორო თემების დაცვის შესახებ, ბრძანებები სტომატოლოგიის დოქტორის დიპლომის გაცემის შესახებ.

ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელბაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნია სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი პირადი საქმეებით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შემდეგნაირია:პროგრამას ახორციელებს 31 პირი(მათ შორის 20 აკადემიური(პროფესორი-13,ასოცირებული პროფესორი-6,ასისტენტ-პროფესორი-1),ხოლო 11 მოწვეული). აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით შემდეგნაირია(20/8.- 2.5/1)

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან კი (20/11. -1.8/1). ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების/დოქტორანტების თანაფარდობა შეადგენს (12/8.- 1.5/1)

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში და შეესაბამება მათი დატვირთვის სქემას. უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც წარმოებს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა. აკადემიური პერსონალის რაოდენობა, დატვირთვა ასახულია უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ მარეგულირებელ დოკუმენტში. მოწვეული პერსონალის უფლება-მოვალეობები ასახულია მათ შრომითი ხელშეკრულებებში. აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლის და/ან მკვლევარის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მისი კვლევითი აქტივობა, დადასტურებული სამეცნიერო/სამეცნიერო-მეთოდური პუბლიკაციებით. პრიორიტეტულია პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში. პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (20/11) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ისინი უშუალოდ არიან ჩართულები პროგრამის განხორციელება-მოდიფიცირებაში. ასევე პროგრამის ხელმძღვანელები უშუალოდ მონაწილეობენ პროგრამის შეფასება-განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

ისინი არიან რამდენიმე ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების,

სტომატოლოგიურ დაავადებათა მართვის ეროვნული პროტოკოლების და სამეცნიერო ნაშრომების ავტორები.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან საჭირო რაოდენობის კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე კადრებით, რაც სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესშიც გამოიკვეთა. ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და უფლებები რეგულირდება დებულებით.

○

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აკადემიური დასამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტი.

• თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

• თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი.

• თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობისთვის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვა.

• თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი.

• თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის შერჩევის წესი.

• საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტი.

• სტომატოლოგიის ფაკულტეტის დებულება

• აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები.

• საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი სადოქტორო თემატიკის მითითებით.

• ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სადოქტორო ნაშრომების სია ნაშრომის სათაურის, დაცვის წლის, ხელმძღვანელის, ქულის მითითებით.

• პროგრამის ხელმძღვანელების CV და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

• ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული დისერტაციები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • გაიზარდოს პროგრამაზე უცხოელი მეცნიერებისა და პედაგოგების ჩართულობა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს მიერ ხდება პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასება და შეფასების შედეგების ანალიზი. უნივერსიტეტი სისტემატურად ახორციელებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება. ეს პროცესი ხორციელდება როგორც ადმინისტრაციის, ასევე სტუდენტების მიერ შევსებული სპეციალური ანონიმური კითხვარის ანალიზით. დაწესებულების მიერ შემუშავებული და დოკუმენტირებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და მიღებული შედეგების ანალიზის კრიტერიუმები. მიღებული ინფორმაცია განიხილება დეკანის, ხარისხის სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, შემდგომ განიხილება აკადემიურ საბჭოზე.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასების პროცესში ყურადღება გამახვილებულია არამხოლოდ სასწავლო, არამედ სამეცნიერო საქმიანობაზე. შეფასების შედეგის საფუძველზე შესაძლებელია მოხდეს პერსონალის დაწინაურება-წახალისება. თსსუ-ში მოქმედებს „აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი (თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 მარტის N24/7 დადგენილება)“.

უსდ ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. თვითშეფასების კითხვარის, მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით,სადოქტორო პროგრამის სტომატოლოგია განხორციელებაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს საგანმანათლებლო, კვლევით საქმიანობაში. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას, მათი მხრიდან აღინიშნა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მხარდაჭერა საერთაშორისო კონფერენციებს, კონგრესებსა და ვორქ–შოპებში მონაწილეობაში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სთავაზობს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და ტრენინგებს, რომელთაც ახორციელებს უნივერსიტეტი აკადემიური განვითარების ცენტრის ბაზაზე. ადგილობრივ და საზღვარგარეთ გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში, საერთაშორისო პროექტებსა და კვლევებში, სემინარებზე, მასტერ–კლასებში აკადემიური პერსონალის მონაწილეობა ხორციელდება უნივერსიტეტის მხრიდან სრული ან თანადაფინანსებით. პერსონალის საზღვარგარეთ ტრენინგებში მონაწილეობის ფაქტები აღინიშნა აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

• დებულება - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ წარმომადგენლობითისაბჭოს 2018 წლის 7 მარტის N 23/3 დადგენილება

• თსსუ-ის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი;

• თსსუ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი;
• აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია საფანტომო სწავლების განახლებული თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კაბინეტები, კაბინეტების და კლინიკის აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა საკმარისია სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავების და კლინიკური მუშაობისთვის. საუნივერსიტეტო კლინიკაში გამართულია ინფექციის კონტროლის და ნარჩენების მართვის ოთახები. თუმცა ვიზიტისას აღმოჩნდა, რომ საფანტომო სწავლებისთვის განკუთვნილი აუდიტორიების ინფრასტრუქტურა არ არის მორგებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებზე, რაზეც უსდ-მ ექსპერტებს განუმარტა,რომ სწავლების მესამე საფეხურზე დოქტორანტებისთვის არ იქნება საჭირო აღნიშნული

საფანტომო კაბინეტებით სარგებლობა.

თსსუ საკუთრებაში ფლობს 5 კლინიკურ ბაზას, მათ შორის 3 საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკას, 2 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს (ფარმაკოქიმიის და ბიოტექნოლოგიურს), 6 საუნივერსიტეტო ცენტრს და პათოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო და დიაგნოსტიკურ ლაბორატორიას, სადაც მიმდინარეობს სასწავლო, კლინიკური და კვლევითი აქტივობები. სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი შეადგენს 29 341.07 კვ.მ _ს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მოიცავს წიგნსაცავებს (1 მთავარი და 2 დამხმარე), ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო ოთახებს, დამხმარე სათავსოებსა და სივრცეებს ბიბლიოთეკით მოსარგებლეთათვის.სტუდენტების, პედაგოგებისა და სხვა ბენეფიციართათვის.

ბიბლიოთეკა სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კვირაში 6 დღე, 60 საათი. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მრავალფეროვანია , მუდმივად განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარების კვალდაკვალ და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს ფართო წვდომა აქვთ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე.

თსსუ-ს შეძენილი აქვს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (WHO) პროგრამის Research4life_ელექტრონული ბაზების (HINARI, AGORA, OARE და _ARDI) მოხმარების ლიცენზია.

რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის გრანტით უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა საგამომცემლო კორპორაცია Elsevier_ის ორ საძიებო ბაზაზე:

▪ScienceDirect – 2200 აკადემიური ჟურნალისა და 25000-ზე მეტი ელექტრონული წიგნის სრული ტექსტური ბაზა.

▪Scopus -რეფერირებული სამეცნიერო ლიტერატურის უმსხვილესი მონაცემთა ბაზა; საინფორმაციო ჰაბი მეცნიერული კვლევის მიმოხილვის, სტატისტიკის, ციტირების ინდექსის და სხვა ღირებული მონაცემების შესახებ მკვლევარებისათვის. ვიზიტისას შემოწმდა სილაბუსებში მითითებული რამდენიმე სახელმძღვანელო, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური სახით. გარდა ერთი სახელმძღვანელოსი, რაზეც ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტებს განუმარტა, რომ სტუდენტის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში მოახდენენ წიგნის სკანირებას და ერთი დღის ვადაში გაუგზავნიან ელექტრონულად.

თსსუ-ში _სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, შენობა-ნაგებობები აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით და სპეც. საშუალებებით.

თსსუ-ში არსებული გარემო დღეის მდგომარეობით ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოთხოვნების შესაბამისად. უნივერსიტეტში მათთვის მოწყობილია ლიფტები, პანდუსები, სველი წერტილები (ტუალეტი), და ა.შ. შენობის მიმდებარედ არსებობს ავტოსადგომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, საიდანაც შეუფერხებლადაა შესაძლებელი შენობამდე მიღწევა.

თსსუ-ის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსები სრულად უზრუნველყოფს მისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას და შეესაბამება არსებულ სტანდარტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-ის ბიბლიოთეკის დებულება
- თსსუ-ის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბილიოთეკო ბაზებზე წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტი
- თსსუ-ის ინვენტარიზაციის, ტექნიკური აღჭურვილობის _დამადასტურებელი დოკუმენტი.
- სასწავლო ფართის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გაუმჯობესდეს საფანტომო კაბინეტების ინფრასტრუქტურა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების მოთხოვნების გათვალისწინებით

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

თსსუ-ს პათოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორია

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „სტომატოლოგია“ დაფინანსების წყაროებია თვითდაფინანსება, საგრანტო ან კომბინირებული დაფინანსება. ყველა ინდივიდუალური კვლევის პროგრამას გააჩნია ხარჯთაღრიცხვა, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტისა და არასაუნივერსიტეტო ხარჯებს (სამეცნიერო კვლევის მთლიანად ან ნაწილობრივ არასაუნივერსიტეტო სტრუქტურაში შესრულების შემთხვევაში). სტომატოლოგიის სადოქტორო პროგრამის (ფაკულტეტის) ბიუჯეტში გაწერილია თსსუ-ს მიერ პროგრამის მხარდაჭერა და გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. პროგრამა ფინანსურად მდგრადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამის „სტომატოლოგია“ დოქტორანტთა ინდივიდუალური ხარჯთაღრიცხვები. • თსსუ-ის _სტომატოლოგიის ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტი. • თსსუ-ის 2019 წლის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ხარისხის განვითარების პროცესებში ჩართულია უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და ძირითადი ორგანიზაციულ სტრუქტურული ერთეულები. ხარისხის შიდა შეფასების მიზნით გათვალისწინებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი.

ხარისხის სამსახური ახორციელებს სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის საექსპერტო შეფასებას. პროცესი ჩართულია სამი დარგის წამყვანი სპეციალისტი, მათ შორის გარე ექსპერტი. პროცესი არის ორმაგი ბრმა, რაც არის უკეთესი ხარისხის მიღწევის ერთ–ერთი ბერკეტი.

თსსუ-ში კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ტარდება შესაბამისი ელექტრონული პორტალის (SurveyMonkey) გამოყენებით.

უსდ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს, რომ დოქტორანტთა ბოლო გამოკითხვა ჩატარდა დეკემბერში, შედეგები წარმოადგინეს ფაკულტეტის საბჭოზე,რაც შედგომ გაზიარებულ იქნა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ. ამ კვლევით გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი ასპექტები. ერთი მხრივ, სტომატოლოგიის სფეროს „ქვე“მიმართულებების შეძლებისდაგვარად სრულად „დაფარვა“ სასწავლო კურსების დიაპაზონით, მეორე მხრივ კი არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზება გათვალისწინებულ იქნა წარმოდგენილ სტომატოლოგიის სადოქტორო პროგრამაში.

თსსუ-ის შიდასაუნივერსიტეტო აქტივობა დოქტორანტების სწავლისა და კვლევის ხელშეწყობის პროგრამა (მატერიალური წახალისების პროგრამა), რაც უნივერსიტეტმა აკადემიური და კვლევითი კადრის ზრდის უწყვეტობას მიზნით შეიმუშავა, კიდევ უფრო გაზრდის ხუს-ის პასუხისმგებლობას სადოქტორო კვლევების პროექტების სამეცნიერო ღირებულების შეფასების მხრივ. დოქტორანტთა ამ პროგრამით სარგებლობის საკონკურსო პირობები საჭიროებს დახვეწას და მეტ გამჭვირვალობას.

სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების გუნდმა, წარმოდგენილი ადმინისტრაციით (სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), პროფესურით, დოქტორანტით,

კურსდამთავრებულით და დამსაქმებლით, განახორციელა პროგრამის შეფასება. რომელთაც მკაცრად ჰქონდათ განაწილებული მოვალეობები, რაც ვიზიტისას ინტერვიუს შედეგებით დადასტურდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის, 9 მარტის №2_3_/3 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“. • თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 მარტის №2_4_/_6 დადგენილებით დამტკიცებული „თსსუ-ს აკადემიური დამოწვეული პერსონალის შეფასების წესი“ • თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის, 29 დეკემბრის №2_4_/_2 დადგენილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“; • თსსუ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი(თსსუ-ს აკადემიური საბჭოს სხდომის დადგენილება, 2018 წლის 21 მარტის №2_4_/_7_) • თსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სადოქტორო პროგრამების საექსპერტო შეფასებ(ებ)ის შედეგები. • თსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული დოქტორანტთა აზრის კვლევის შედეგები. • სტატისტიკური მონაცემები (სტუდენტების პროგრესია, სტატუსის შეწყვეტისა და შეჩერების მაჩვენებელი). • აკადემიური პერსონალის განვითარების თვითშეფასებისათვის ჩატარებული კვლევის შედეგები. • პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის ოქმები, სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურიკულუმის და საბჭოს ოქმების ამონაწერი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსსუ გარე შეფასების მიზნით იყენებს ხარისხის შეფასების შემდეგ წყაროებს, ავტორიზაციის, აკრედიტაციის, ექსპერტთა დასკვნებისა და რეკომენდაციების ანალიზს. დღემდე აკრედიტებული სადოქტორო პროგრამა "სტომატოლოგია" აკრედიტებულია 2011 წლის ოქტომბერში. ექსპერტთა ჯგუფის შემდეგი რეკომენდაციები, (სასურველია კიდევ უფრო დაზუსტდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობები; სასურველია დასაზუსტდეს სწავლის შედეგები; სასურველია უფრო დეტალურად განიმარტოს კლინიკური საქმიანობის როლი სადოქტორო პროგრამაში) მიღებული და გათვალისწინებულია.ჩატარებულია სადოქტორო პროგრამის „სტომატოლოგია“ დღეს წარმოდგენილი ვარიანტის გარე შეფასებას შეფასებამ გამოავლინა პროგრამის ძლიერი და გასავითარებელი ასპექტები. ექსპერტების შეფასებები დადებითია,თუმცა აღნიშნულია გარკვეული რჩევა-მითითებები. სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა განიხილა და, შეძლებისდაგვარად, მხედველობაში მიიღო წარმოდგენილი რეკომენდაციები, ნაწილი გაითვალისწინა და ნაწილი ასახა პროგრამის გასაუმჯობესებელ აქტივობებში, მაგ: ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება; სადოქტორო კვლევების დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის მიმართულებით მუშაობა; პოტენციური დამსაქმებლების უფრო აქტიური ჩართულობა პროგრამის განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა 2011 წლის დასკვნა • სადოქტორო პროგრამის „სტომატოლოგია“ გარე ხარისხის შეფასების დოკუმენტი.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერება • პოტენციური დამსაქმებლების უფრო აქტიური ჩართულობა პროგრამის განვითარებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების მონიტორინგს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური. გამოკითხვა ტარდება მხოლოდ წელიწადში ერთხელ სადოქტორო პროგრამებისთვის, სასურველია დაიხვეწოს სასწავლო პროცესის მონიტორინგის მექანიზმები და გაიზარდოს პერიოდულობა, რაც უნივერსიტეტს მიაჩნია გასაუმჯობესებელ მხარედ და გამოთქვამს მზაობას. კითხვარების მეშვეობით ფასდება აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. მიღებული შედეგების საფუძველზე, ხარისიხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს რეკომენდაციების შემუშავებას. პროგრამის მონიტორინგის შედეგები განიხილება სტომატოლოგიის ფაკულტეტის საბჭოზე, სასწავლო დეპარტამენტებში და გაანალიზების საფუძველზე ხდება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება პროგრამის განახლების უზრუნველსაყოფად. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტის

მხრიდან გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა სასწავლო კურსის განმახორციელებლის მიმართ უარყოფითი შეფასება, ეს ეცნობება მას ინდივიდუალურად, რათა მოახდინოს რეაგირება და გაითვალისწინოს, ხოლო დადებითი შეფასებები ჟღერდება საჯაროდ საბჭოს სხდომაზე. გამოკითხვებმა ასევე გამოავლინა სასწავლო პროცესის ორგანიზებულობის, სასწავლო მასალების და სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის გაზრდის საჭიროება, რაზეც უსდ-მ მოახდინა რეაგირება და განახლდა წიგნადი ფონდი, შეიძინეს ელექტრონული ბაზა, ასევე ახდენენ ნებისმიერი მოთხოვნილი სახელმძღვანელოს სკანირებას და საჭიროებისამებრ სტუდენტისთვის გაგზავნას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისიხის სამსახურის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება. • პროგრამის დოქტორანტთა კვლევა • კურსდამთავრებულთა კვლევა • დამსაქმებელთა კვლევა • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • დაიხვეწოს სადოქტორო პროგრამაზე სასწავლო პროცესის მონიტორინგის მექანიზმები
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

✓

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სტომატოლოგია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 47

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ ლომიძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო წილოსანი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ლანდა ლურსმანაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა მარიამ აბულაძე